კოტე აფხაზი – „მუდამ მშვიდი, დარბაისელი, ზრდილობიანი და გონიერი ადამიანი".

რევაზ გაბაშვილი

„წინააღმდეგობის ცენტრს გენერალი კოტე აფხაზი ხელმძღვანელობს. თავადს ბრალად ედება ამბოხების მზადება. მას მაშინვე იჭერენ. მის ბედს ჩქარა ჩეკა სწყვეტს. 1923 წლის 20 მაისს გენერალი კოტე აფხაზი დახვრიტეს. ასეთივე ბედი ერგო საქართველოს ყოფილი არმიის ბევრ რჩეულ ოფიცერს. მართალია, არავითარი საბუთის ნასახიც არ მოიძებნა მათი დანაშაულის დასამტკიცებლად, მაგრამ ჩეკას რად სჭირდება ან საბუთი, ანდა სასამართლო".

რემონ დიუგე (ფრანგი მკვლევარი)

კოტე აფხაზის უკანასკნელი სიტყვები დახვრეტის წინ:
"Я умираю с радостью, так как я удостоился быть жертвой на алтаре Грузинской свободы. Наша смерть принесёт Грузии победу".

კოტე აფხაზი და მისი მეუღლე – ელენე იოსელიანი

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო..."

აკაკი

კ. აფხაზი

1867-1923

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის
სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი

თბილისი
2007

ქ-ნ
ბ-ნ

ა. წ. 7 დეკემბერს, პარასკევს, 17 საათზე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართება დიდი ქართველი მამულიშვილის – კონსტანტინე (კოტე) აფხაზის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

გ ა მ ო მ ს ვ ლ ე ლ ე ბ ი:

პროფ. **გოგი დოლიძე** – შესავალი სიტყვა

პროფ. **გელა საითიძე** – „კოტე აფხაზის ზნეობრივი პიროვნება"

პროფ. **მიხეილ ჯიბუტი** – „კოტე აფხაზი და ეროვნული საკუთრების აღდგენა"

პროფ. **რამაზ ვაჟბედაშვილი** – „კოტე აფხაზი და კახეთის რკინიგზა"

პროფ. **ნათელა ურუშაძე** – „კოტე აფხაზი და ქართული თეატრი"

პოეტი **თინათინ მღვდლიაშვილი**

პოეტი **ჯანო ჯანელიძე**

„ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის" ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი **„შავლეგო"** (ხელმ. – კომპოზიტორი ჯემალ ადამაშვილი)

ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლი **„ივერონი"** (ხელმ. – **ციური მჭედლიძე**)

მსახიობი **გია ბურჯანაძე** – კოტე აფხაზის როლის შემსრულებელი კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლში **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"**.

ნაჩვენები იქნება ვიდეოფრაგმენტები ამ სპექტაკლიდან.

,,მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნული შეგნების უმთავრესი გამომხატველის, თავად ილია ჭავჭავაძის (1837-1907) დისწულმა, კონსტ. აფხაზმა, სახელმწიფოს საბჭოს არჩეულმა წევრმა, პატიოსნად და ღირსეულად დაასრულა 1917 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლთა წრე, რომელიც ასზე მეტი წლის წინათ დაიწყო თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ – 1923 წლის მაისში საბჭოთა საწინააღმდეგო შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში ბრალდებული, იგი 15 სხვა სახელოვან მეომართან და მამულიშვილთან ერთად მოკვდა ვაჟკაცურის სიკვდილით."

ზურაბ ავალიშვილი

„მათ ერის სამსხვერპლოზე თავისი თავი დასდეს... და ეს თავები ისე წარკვეთა მტერმა, რომ კოტე აფხაზს და მის ღირსეულ თანამებრძოლთ ერთი სინანულის ცრემლიც არ გადმოვარდნიათ... არც ერთი ოხვრა! ძველი ღირსებით ჩაეშვნენ საქართველოსათვის მებრძოლნი „ძმათა სასაფლაოში".

თამარ პაპავა

„წითელი არმიის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას მეთაურობდნენ საუკეთესო გენერლები და უმაღლესი ჩინის ოფიცრები... 1923 წელს შეთქმულები ამხილეს და დააპატიმრეს. ისინი გაუსამართლებლად დახვრიტეს... სიკვდილის წინაც არ შემდრკალან. მათი საქციელით ჯალათებიც კი აღფრთოვანდნენ. გენერალმა აფხაზმა მოასწრო დამსჯელი რაზმისათვის განეცხადებინა, რომ მშვიდად ტოვებდა ამ ქვეყანას,რადგან სწამდა სამშობლოს აღორძინება."

ალექსანდრე მანველაშვილი